დანართი 1 - ტექნიკური დავალება

"ყოვლისმომცველი ინსტიტუციონალური განვითარების პროგრამა CIB, პროექტი ENPI/2012/301-051"

პროექტის #: 2013003STM
დოკუმენტის #: 3671263129-2013003STM-001 ვერსიის #: 2.0
დოკუმენტის სტატუსი: RELEASED
გამოქვეყნების თარიღი: 17/09/13

რატიფიკაცია

მოამზადა:	მიმოიხილა:	დაამტკიცა:
ირაკლი შონია პროექტის ფინანსური მენეჯერი	**გიორგი მერებაშვილი** პროექტის მთავარი მენეჯერი	**გიორგი მერებაშვილი** პროექტის მთავარი მენეჯერი

რევიზიების ისტორია

სტატუსი	კომენტარი	რევიზია	თარიღი
დრაფტი	დოკუმენტის მომზადება	0.01	06/08/13
გამოცემული	დოკუმენტის განახლება	1.0	22/08/13
გამოცემული	დოკუმენტის განახლება	2.0	17/09/13

სარჩევი

1 შესავალი 3

2 ტერმინები და განმარტებები 3

3 საპროექტო დავალება 3

3.1 საპროექტო გუნდის მიერ შესასრულებელი სამუშაოები 3
3.2 მისაღწევი შედეგები 3
3.3 კონკურსანტის მიერ ხარისხის კონტროლი და ხარისხის უზრუნველყოფა 4
3.4 ინტელექტუალური საკუთრების უფლებები 5
3.5 ცვლილებების მენეჯმენტი და კონტროლი 5
3.6 ხარჯების კონტროლი და პროექტის ხარჯების გეგმა 6
3.7 ღირებულების ოპტიმიზაცია (VALUE ENGINEERING) 7
3.8 ნებართვები და ხელისუფლებასთან შეთანხმება 7
3.9 სამუშაოების წარმოების მეთოდები 7
3.10 პროექტის ორგანიზაციული სტრუქტურა 7
3.11 პროექტის ფარგლებში ინფორმაციის მენეჯმენტი 8
3.12 შენობის ფაქტობრივი მდგომარეობა 8
3.13 ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და გარემოს დაცვა 8

დანართი ა (საპროექტო გუნდის მიერ შესასრულებელი სამუშაოები) 9

დანართი ბ (პროექტის სტრატეგიული კალენდარული გრაფიკი) 10

დანართი გ (ინფორმაციის მენეჯმენტი) 11

დანართი დ (ფაქტობრივი მდგომარეობის მოკლე აღწერილობა) 12

დანართი ე (შენობის რეაბილიტაციის მიმართ ტექნიკური მოთხოვნები) 13

დანართი ვ (ხარისხის გეგმა) 14

დანართი ზ (ნახაზების შექმნის ინსტრუქცია) 15

დანართი თ (დამკვეთის მოთხოვნები ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და გარემოს დაცვისადმი) 16

1 შესავალი

მოცემული დოკუმენტი მოიცავს ყველა აუცილებელ ინფორმაციას, რომელიც საჭიროა სრულყოფილი და დამკვეთის მოთხოვნების შესაბამისი საპროექტო მომსახურების გაწევისთვის.

2 ტერმინები და განმარტებები

ტერმინი	LMC CSC	განმარტება
RIBA	N/A	Royal Institute of British Architects, ბრიტანელ არქიტექტორთა სამეფო ინსტიტუტი
CIB	N/A	comprehensive institution building / ყოვლისმომცველი ინსტიტუციონალური განვითარება
საპროექტო გუნდი	N/A	არქიტექტორების, ინჟინრების და სხვა კონსულტანტთა ჯგუფი, რომელიც დაკავებულია საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებით, როგორც წესი, მშენებლობის პროცესში სამუშაოების პროექტთან შესაბამისობის ზედამხედველობის მოვალეობებით.

3 საპროექტო დავალება

3.1 საპროექტო გუნდის მიერ შესასრულებელი სამუშაოები

საპროექტო გუნდის მიერ შესასრულებელი სამუშაოების და საპროექტო დოკუმენტაციის მიმართ მოთხოვნები იხ. “დანართი ა (საპროექტო გუნდის მიერ შესასრულებელი სამუშაოები)” - ში.

3.2 მისაღწევი შედეგები

3.2.1 სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმართ ტექნიკური მოთხოვნები

შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმართ ტექნიკური მოთხოვნების პირველადი ვერსია იხილეთ “დანართი ე (შენობის რეაბილიტაციის მიმართ ტექნიკური მოთხოვნები) ”-ში, აღნიშნული მოთხოვნების სრულყოფა მოხდება საპროექტო გუნდთან და ინტერნაციონალურ ექსპერტთა ჯგუფთან ერთად საპროექტო სამუშაოების მიმდინარეობისას.

3.2.2 პროექტის შესრულების ვადები

პროექტის შესრულების სავალდებულო ვადები მოცემულია “დანართი ბ (პროექტის სტრატეგიული კალენდარული გრაფიკი)”-ში, აღნიშნულ გრაფიკზე დაყრდნობით კონკურსანტმა უნდა შეიმუშაოს დეტალური კალენდარული გრაფიკი საპროექტო სამუშაოების შესრულებაზე და წარმოადგინოს საკონკურსო წინადადებასთან ერთად. წარმოდგენილი კალენდარული გრაფიკი უნდა მოიცავდეს სამუშაოს დასახელებას, სამუშაოს დაწყების, დასრულების და ხანგრძლივობის ვადას, სამუშაოების ურთიერთ

დამოკიდებულებას. წარმოდგენილი კალენდარული გრაფიკი უნდა მოიცავდეს პარაგრაფ 3.3-ში მოთხოვნილ პოზიციებსაც.

3.2.3 სარეაბილიტაციო სამუშაოების საბიუჯეტო ღირებულება

საპროექტო გუნდი ვალდებულია ისე წარმართოს საპროექტო სამუშაოები, რომ სარეაბილიტაციო სამუშაოები არ გაცდეს საბიუჯეტო ღირებულებას, რომელიც შეადგენს 1,179,209.2 ლარს და 2013 წლის ბოლომდე პროექტის ფარგლებში განხორციელდეს 300,000.00 ლარის შესყიდვები.

3.2.4 შესასრულებელი სამუშაოების ტექნიკური სტანდარტი

საპროექტო გუნდის მიერ შემუშავებული არქიტექტურული, კონსტრუქციული, საინჟინრო და დიზაინის სხვა ტიპის გადაწყვეტები ისე უნდა იყოს შემუშავებული რომ გათვალისწინებული და შესაბამისობაში იყოს ქვემოთ მოცემულთან:

- საქართველოს კანონი „სივრცითი მოწყობისა და ქალაქმშენებლობის საფუძვლების შესახებ“
- საქართველოს კანონი „სამშენებლო საქმიანობის შესახებ“
- საქართველოს კანონი „არქიტექტურული საქმიანობის შესახებ“
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 18 თებერვლის #1-1/251 ბრძანება „საქართველოს ტერიტორიაზე ტექნიკური ზედამხედველობისა და სამშენებლო სფეროში 1992 წლამდე მოქმედი ნორმების. წესების და ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტების გამოყენების შესახებ“
- „ პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“
- საქართველოს კანონმდებლობის მიერ გათვალისწინებულ სხვა ადგილობრივ დადგენილებებთან, ნორმებთან , სტანდარტებთან და საერთაშორისო ან/და სტანდარტებთან
- პროექტის მოთხოვნები წარმოშობის პირობებთან (Rules of Origin) მიმართებაში: მოცემული პროექტის ფარგლებში შესყიდული პროდუქტი და მომსახურება უნდა იყოს ევროპის საბჭოს 1992 წლის 12 ოქტომბრის N2913/92 რეგულაციის 23-ე და 24-ე მუხლის მოთხოვნების შესაბამისი.

3.3 კონკურსანტის მიერ ხარისხის კონტროლი და ხარისხის უზრუნველყოფა

საპროექტო გუნდმა ხარისხის უზრუნველყოფის და ხარისხის კონტროლის დეტალურ ანგარიშში უნდა აღწეროს საკუთარი ხარისხის კონტროლის გეგმა-გრაფიკი, სადაც გამოყოფს კონკრეტულ განმეორებად ნაბიჯებს, რომელსაც განახორციელებს ნახაზების, სპეციფიკაციების და მასალათა ნუსხის სრულყოფის, განახლების, მხარეთა გამოხმაურების გათვალისწინების პროცესში, მანამ სანამ მოხდება საპროექტო პაკეტის სრულყოფა და ტენდერების ან მშენებლობის მიზნით გამოქვეყნება.

ამ თანმიმდევრულ და განმეორებით ციკლებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საპროექტო გუნდის ხარისხის მენეჯმენტის გრაფიკის ორიენტირები და შუალედური შიდა მიმოხილვები, ქვემოთ მოცემული ძირითადი პოზიციების გადახედვის, შემოწმების და დამოწმების მიზნით:

- შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან
- თავსებადობა ნახაზებსა და სპეციფიკაციებს შორის
- კოორდინაცია პროექტის კონსტრუქციულ, არქიტექტურულ, საინჟინრო და ინტერიერის დიზაინის დისციპლინებს შორის
- მასალათა ნუსხის შესაბამისობა სპეციფიკაციებთან და ნახაზებთან
- კარების, ფანჯრების, აპარატურის და მოპირკეთების ნუსხების კოორდინაცია ნახაზებთან და სპეციფიკაციებთან

კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს დანართი ვ (ხარისხის გეგმა)-ში მოცემული ხარისხის გეგმის თავსებადი ხარისხის უზრუნველყოფის და ხარისხის კონტროლის დეტალური ანგარიშის წარმოდგენა და შემდგომ პროექტის შესრულების დროს მისი დაცვა.

3.4 ინტელექტუალური საკუთრების უფლებები

ნებისმიერი და ყველა საავტორო უფლება დოკუმენტებზე, მონაცემებზე, ნახაზებზე, რუქებზე, ანგარიშებზე, სპეციფიკაციებზე, კალკულაციებზე, ტექნიკურ ინფორმაციაზე, წერილობით მასალებზე, ნოუ-ჰაუზე, ტექნოლოგიურ იდეებზე, კვლევებზე, სქემებზე, დასკვნებზე, ნიმუშებზე, გრაფიკულ დიაგრამებზე, ფოტოებზე, წერილებზე, სპეციფიკაციებზე, სახელმძღვანელოებზე, შესასრულებელ სამუშაოებთან დაკავშირებით, რომელიც მომზადებულია, განვითარებულია ან წარმოებულია საპროექტო გუნდის მიერ ან საპროექტო გუნდისთვის, მათი შექმნისთანავე აძლევს უფლებას დამკვეთს გამოიყენოს ისინი და რჩება დამკვეთის საკუთრებაში, მას შემდეგ, რაც დამკვეთი მოახდენს შესასრულებელი სამუშაოს შესაბამისი ანაზღაურების სრულყოფილად დაფარვას. საპროექტო გუნდმა უნდა გააფორმოს ყველა დოკუმენტაცია და მოამზადოს შესაბამისი აქტები ზემოთხსენებული ინტელექტუალური საკუთრების უფლების დამკვეთისთვის გადასაცემად ან შესანარჩუნებლად. დამკვეთს შეუძლია ინფორმაცია გამოიყენოს ნებისმიერ ადგილას, ანაზღაურების გარეშე.

3.5 ცვლილებების მენეჯმენტი და კონტროლი

პროექტის განხორციელების ფარგლებში საპროექტო დოკუმენტაციაში ან/და შესასრულებელ სამუშაოებში შესატანი ნებისმიერი ცვლილება ექვემდებარება “ გრაფიკი 3-A:ცვლილების მენეჯმენტის პროცედურა “-ში მოცემულ სავალდებულო პროცედურას



გრაფიკი 3-A:ცვლილების მენეჯმენტის პროცედურა

3.6 ხარჯების კონტროლი და პროექტის ხარჯების გეგმა

პროექტირების მთელი ციკლის განმავლობაში საპროექტო გუნდი პროექტის მენეჯერ/კოორდინატორთან ერთად, უზრუნველყოფს შესასრულებელი სამუშაოს მონიტორინგს ხარჯებთან მიმართებაში, რომ დაცული იქნეს დამტკიცებული ბიუჯეტი.

იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთი მოითხოვს ცვლილებებს და/ან სამუშაო მოცულობის გაზრდას, რაც ზრდის დამტკიცებულ ხარჯებს, საპროექტო გუნდი პროექტის მენეჯერ/კოორდინატორთან ერთად, უზრუნველყოფს დამკვეთის დაუყოვნებლივ ინფორმირებას.

პროექტის ბიუჯეტის დაცვის მიზნით, პროექტის მენეჯერ/კოორდინატორს უფლება აქვს მიუთითოს საპროექტო გუნდს პროექტში ცვლილებების შეტანის თაობაზე, იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი გადაწყვეტა აჭარბებს შეთანხმებულ ბიუჯეტს.

საპროექტო გუნდმა უნდა უზრუნველყოს შესასრულებელი სამუშაოს შესაბამისობა დამკვეთის მოთხოვნებთან, მათ შორის მასალების წარმომავლობასა და დამტკიცებულ ბიუჯეტთან დაკავშირებით. ნებისმიერი სახის შეუსაბამობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს დამკვეთს.

3.7 ღირებულების ოპტიმიზაცია (Value Engineering)

საპროექტო გუნდმა სამუშაოების შესრულებისას უნდა გაატაროს ღირებულების ოპტიმიზაციის (Value Engineering) ღონისძიებები და პროექტის მენეჯერ/კოორდინატორთან ერთად, შეასრულოს ყველა შესაბამისი ხარჯების/ღირებულების კვლევა. ეს ღონისძიებები მოიცავენ ალტერნატიული მასალების და გადაწყვეტების გამოკვლევას/შესწავლას, რენტაბელური და ესთეტიკური გადაწყვეტების მისაღწევად.

3.8 ნებართვები და ხელისუფლებასთან შეთანხმება

საპროექტო გუნდმა უნდა უზრუნველყოს ყველა საჭირო დოკუმენტის გადაცემა დამკვეთის/კონტრაქტორის შესაბამისი წარმომადგენლისთვის, რელევანტური განაცხადის მოსამზადებლად და წარსადგენად ყველა შესაბამის ორგანოში.

საპროექტო გუნდი დამკვეთს უზრუნველყოფს საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში სრული მხარდაჭერით ამ საკითხებში, ყველა ნებართვის და დასტურის მიღების მიზნით.

3.9 სამუშაოების წარმოების მეთოდები

საპროექტო გუნდი სამშენებლო ობიექტზე ნებისმიერი სახის აქტივობის დაწყებამდე, მოახდენს კონტრაქტორის მიერ სამუშაოს შესრულების მეთოდოლოგიის შესახებ (Method Statement) მკაფიოდ ფორმულირებული განაცხადის განხილვას და შეთანხმებას.

3.10 პროექტის ორგანიზაციული სტრუქტურა

ქვემოთ მოცემულია პროექტის შესრულების ორგანიზაციული სტრუქტურა (ორგანიგრამი)

საპროექტო გუნდმა უნდა უზრუნველყოს საკუთარი სტრუქტურის ჩამოყალიბება და სრულად კოორდინირებული საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა. ქვემოთ მოცემული ორგანიზაციული სტრუქტურის შესაბამისად.



გრაფიკი 3-B: პროექტის ორგანიზაციული სტრუქტურა

3.11 პროექტის ფარგლებში ინფორმაციის მენეჯმენტი

პროექტის ფარგლებში ინფორმაციის მიმოქცევის მეთოდებს და ფორმატს განსაზღვრავს პროექტის მენეჯერი/კოორდინატორი დეტალებისთვის იხ. "დანართი გ (ინფორმაციის მენეჯმენტი)"

3.12 შენობის ფაქტობრივი მდგომარეობა

შენობის უკეთ აღქმის მიზნით პროექტის მენეჯერმა/კოორდინატორმა მოახდინა ფაქტობრივი მდგომარეობის ფოტო დოკუმენტირება და არაზუსტ აზომვით ნახაზებზე არსებული ოთახების დატანა. დეტალებისთვის იხ. "დანართი დ (ფაქტობრივი მდგომარეობის მოკლე აღწერილობა)

3.13 ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და გარემოს დაცვა

პროექტის მენეჯერმა/კოორდინატორმა პროექტის მიმდინარეობის განმავლობაში ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მიზნით, შეიმუშავა გენერალური მოთხოვნები. იხ. დანართი თ (დამკვეთის მოთხოვნები ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და გარემოს დაცვისადმი

დანართი ა (საპროექტო გუნდის მიერ შესასრულებელი სამუშაოები)

დანართი ბ (პროექტის სტრატეგიული კალენდარული გრაფიკი)

დანართი გ (ინფორმაციის მენეჯმენტი)

მოცემული დანართი მოიცავს პროექტის ფარგლებში ინფორმაციის მენეჯმენტის სისტემას. ინფორმაციის მენეჯმენტის სისტემის შესახებ ინფორმაციით უზრუნველყოფილი იქნება გამარჯვებული კონკურსანტი.

დანართი დ (თაქტობრივი მდგომარეობის მოკლე აღწერილობა)

დანართი ე (შენობის რეაბილიტაციის მიმართ ტექნიკური მოთხოვნები)

დანართი ვ (ხარისხის გეგმა)

დანართი 8 (ნახაზების შექმნის ინსტრუქცია)

მოცემული დანართი მოიცავს ნახაზების შექმნის ინსტრუქციას „CAD LAYERING CONVENTION“, რომელიც გადაეცემა გამარჯვებულ კონკურსანტს ცალკე დოკუმენტის სახით.

დანართი თ (დამკვეთის მოთხოვნები ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და გარემოს დაცვისადმი)